



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ოქმი N5**

ქ. მარნეული

15.03.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, ვალი ისმაილოვი, აზიდ ოსმანოვი, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ქამილ ალიევი, ისმაილ ბაირამოვი, ლევონ აკოპიანი, რაგიმ ასკეროვი, გივი ქველაძე, რუსტამ ფაშაევი, ბესიკ გუჯეჯიანი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, ელხან მუფტიევი, სადრადინ ტალიბოვი რაფიკ ჯაფაროვი, აგილ ფაშაევი.

არ ესწრებოდა: - რაფიკ მუსაევი, რამიზ გიულმამედოვი, ზურაბ ჭონიაშვილი, ჯოშგუნ ზეინალოვი, აიდა ხაჩიკიანი, სულეიმან ხალილოვი, მახირ იუსუბოვი.

სხდომას ესწრებოდა: - ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი **მერაბ თოფჩიშვილი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია**.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. ფრაქცია „ქრისტიანულ-კონსერვატიული“-ს თავმჯდომარის შესახებ.
2. ფრაქცია „მარნეული“-ს რეგისტრაციის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

5. ა.ა.ი.პ. „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

6. ა.ა.ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

7. ა.ა.ი.პ. „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

8. მარნეულის მუნიციპალიტეტის კესალოს მშენებარე ეკლესიის მიერ დაგროვილი ელ. ენერჯის დავალიანების შესახებ.

9. პოეტ მახმუდ გაჯიხალილოვის განცხადების განხილვის შესახებ.

10. მარნეულის სოფელ წერეთელში მცხოვრები კოვი ხარშილადის განცხადების განხილვის შესახებ.

11. ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 2 მარტის N955-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

### **განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო ფრაქცია „ქრისტიანულ-კონსერვატიული“-ს 2017 წლის 28 თებერვლის N1 ოქმი, რომლის მიხედვითაც ფრაქციის თავმჯდომარე შეიცვალა და რაგიმ ასკეროვის ნაცვლად არჩეული იქნა გივი ქველამე, რაც მიღებული იქნა ცნობად (მიღებულია განკარგულება N24. 15.03.2017 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“-ს 2017 წლის 31 იანვრის N1 ოქმი, რომლის მიხედვითაც ფრაქციამ შეიცვალა სახელწოდება და ეწოდა ფრაქცია „მარნეული“, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N25. 15.03.2017 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 მარტის N03/2178 წერილით წარმოდგენილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს მუხლობრივად გააცნო წარმოდგენილი ბიუჯეტის ანგარიში, როგორც შემოსულობების, ასევე ხარჯვით ნაწილში. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ წარმოადგინა კომისიის დასკვნა ბიუჯეტის შესრულების დადებითად შეფასების შესახებ და სთხოვა საკრებულოს წევრებს მხარდაჭერა ამ შეფასებისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N26. 15.03.2017 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N15. 15.03.2017 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 13 მარტის N03/2458 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N27. 15.03.2017 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 13 მარტის N03/2454 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N28. 15.03.2017 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 14 მარტის N03/2495 წერილის და 2017 წლის 15 მარტის N03/2506 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და ა.ა.ი.პ. სარაგბო კლუბი „მარნეულის არმაზი“-ს 2017 წლის მაისის თვის ჩათვლით მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სუბსიდიის ხარჯთაღრიცხვა. საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N29. 15.03.2017 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ „ენერგო-პრო“-ს ქვითარი 50/69468477 გათვალისწინებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 იანვრის N4 განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს ქესალოში მდებარე ეკლესიის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დაგროვილი დავალიანების დასაფარად „ენერგო-პრო“-ს ქვითარი 50/69468477-ს მიხედვით 4651 ლარისა და 81 თეთრის გადარიცხვა „ენერგო-პრო“ ჯორჯიას ანგარიშზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N30. 15.03.2017 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები პოეტის მახმუდ გაჯიხალილოვის განცხადება, რომელიც ლექსების კრებულის გამოსაცემად ითხოვს ფინანსურ დახმარებას. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ თოფჩიშვილმა საკრებულოს წევრებს გაუკეთა განმარტება, რომ ბიუჯეტის შესაბამის მუხლში თანხა ასეთი სახის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული არაა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რომელსაც მხარი დაუჭირა მხოლოდ საკრებულოს შვიდმა წევრმა, რის გამოც საკითხი ვერ გავიდა.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭორიძემ გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები პოეტის კოკი ხარშილას განცხადება, რომელიც ლექსების კრებულის გამოსაცემად ითხოვს ფინანსურ დახმარებას. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ თოფჩიშვილმა საკრებულოს წევრებს გაუკეთა განმარტება, რომ ბიუჯეტის შესაბამის მუხლში თანხა ასეთი სახის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული არაა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რომელსაც მხარი დაუჭირა მხოლოდ საკრებულოს შვიდმა წევრმა, რის გამოც საკითხი ვერ გავიდა.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 მარტის N03/2279 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის კ) ქვეპუნქტის საფუძველზე, საკრებულოს წევრებს სთხოვა მხარდაჭერა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს საგზაო ნიშნების განთავსება ქალაქ მარნეულში, ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N3, 5, 7, 9, 11-თან ამკრძალავი საგზაო ნიშანი N3.27 „გაჩერება აკრძალულია“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N23. 15.03.2017 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეხუთე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი